17/02/2020

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია იერუსალიმის პატრიარქის ორგანიზებულ ეკლესიათა მეთაურების შეკრებას არ დაესწრება

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია იერუსალიმის პატრიარქის, თეოფილე მესამის ორგანიზებულ ეკლესიათა მეთაურების შეკრებას არ დაესწრება. ამის შესახებ აღნიშნულია წერილში, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე გამოაქვეყნა.

როგორც ჯაღმაიძე წერს, წერილი იერუსალიმის პატრიარქს 7 თებერვალს გაეგზავნა.

საქართველოს საპატრიარქოს წერილში წერია:

„მის უნეტარესობას, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს, თეოფილე მესამეს.

თქვენო უნეტარესობავ, მოგესალმებით ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით და გაცნობებთ, რომ მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი ორი წერილი ეკლესიათა შორის არსებულ პრობლემებზე მსჯელობისთვის იორდანიაში, ქ. ამანში, პირველიერარქთა და

მათი წარმომადგენლების მიწვევის შესახებ.

კარგად გვესმის, რომ თქვენი მცდელობა განპირობებულია ეკლესიის ერთობისთვის ზრუნვით და ჭრილობების მოშუშების სურვილით. თქვენი წერილებიდან ჩანს ისიც, რომ ძალისხმევა არ დაგიკლიათ, რათა მსოფლიო პატრიარქს მიეღო მონაწილეობა შეხვედრაში, მაგრამ, ვინაიდან მან და ზოგიერთმა ეკლესიის მეთაურმაც არ ისურვეს ეს, იმ მიზანს რაც თქვენ გაქვთ, და რაც ყველა ჩვენგანის სურვილიცაა, შესაძლოა, დაბრკოლებები შეგვექმნას.

ჩვენ ვიზიარებთ თქვენს პოზიციას და ვითარების სერიოზულობიდან გამომდინარე, პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით მივიჩნევთ, რომ აუცილებელია შეხვედრა და საერთო მსჯელობა, მაგრამ ეს ყველა ეკლესიის მონაწილეობით უნდა მოხდეს, თუ გვსურს, შედეგი მივიღოთ; ხოლო თუ ერთობა ვერ შედგება, ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ ჩამოსვლისგან.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენ სიამოვნებით ვესწრებოდით და კვლავაც დავესწრებით რომელიმე რელიგიური დღესასწაულის ან საერთაშორისო კონფერენციის ფორმატში გამართულ ღონისძიებას.

ვიმედოვნებთ, ღვთის წყალობით, მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთა სინაქსისი განხორციელდება და ეკლესიური კანონიკური ნორმების დაცვით შეფასდება ის თემები, რაც აზიანებს ჩვენ ურთიერთობებს. ამასთან, რაც მალე მოხდება ეს, უმჯობესია ყველასთვის.

ვლოცულობთ თქვენთვის და მართლმადიდებელ ეკლესიაში მშვიდობისა და ქრისტეში ერთობისთვის.

ღმერთმა მოგანიჭოთ მშვიდობა და შემდგომი წარმატებები თქვენს მაღალ მსახურებაში” ,- ნათქვამია წერილში, რომლსაც ხელს საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე აწერს.

საქართველოს ეკლესიის, იორდანიის შეკრებაში მონაწილეობასთან დაკავსირებით, აქ ვაქვეყნებ წერილს, რომელიც 7 თებერვალს გაეგზავნა იერუსალიმის პატრიარქს

Geplaatst door Andria Jagmaidze op Maandag 17 februari 2020

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ: (995 32)2990378, 2989540, ფაქსი (995 32)2987114

CHATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1 King Erekle II sq., Tbilisi, 0114
Tel.: (995 32)2990378, 2989540; Fax:(995 32) 2987114

№14

07.02.2020 წ.

მის უნეტარესობას, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს,

თეოფილე III

თქვენო უნეტარესობავ,

მოგესალმებით ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით და გაცნობებთ, რომ მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი ორი წერილი (N1202, 12.12.2019 და N53 04.02.2020) ეკლესიათა შორის არსებულ პრობლემებზე მსჯელობისათვის იორდანიაში, ქ. ამანში, პირველიერარქთა და მათი წარმომადგენლების მიწვევის შესახებ.

კარგად გვესმის, რომ თქვენი მცდელობა განპირობებულია ეკლესიის ერთობისათვის ზრუნვით და ჭრილობების მოშუშების სურვილით. თქვენი წერილებიდან ჩანს ისიც, რომ ძალისხმევა არ დაგიკლიათ, რათა მსოფლიო პატრიარქს მიეღო მონაწილეობა შეხვედრაში, მაგრამ ვინაიდან მან და ზოგიერთმა ეკლესიის მეთაურმაც არ ისურვეს ეს, იმ მიზანს, რაც თქვენ გაქვთ, და რაც ყველა ჩვენგანის სურვილიცაა, შესაძლოა დაბრკოლებები შეექმნას.

ჩვენ ვიზიარებთ თქვენს პოზიციას და, ვითარების სერიოზულობიდან გამომდინარე, პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით მივიჩნევთ, რომ აუცილებელია შეხვედრა

და საერთო მსჯელობა, მაგრამ ეს ყველა ეკლესიის მონაწილეობით უნდა მოხდეს, თუ გვსურს, შედეგი მივიღოთ; ხოლო თუ ერთობა ვერ შედგება, ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ ჩამოსვლისაგან.

აქვე ავღნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენ სიამოვნებით ვესწრებოდით და კვლავაც დავესწრებით რომელიმე რელიგიურ დღესასწაულის ან საერთაშორისო კონფერენციის ფორმატში გამართულ ღონისძიებას.

ვიმედოვნებთ, ღვთის წყალობით, მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთა სინაქსისი განხორციელდება და ეკლესიური კანონიკური ნორმების დაცვით შეფასდება ის თემები, რაც აზიანებს ჩვენს ურთიერთობებს. ამასთან, რაც მალე მოხდება ეს, უმჯობესია ყველასთვის.

ვლოცულობთ თქვენთვის და მართლმადიდებელ ეკლესიაში მშვიდობისა და ქრისტეში ერთობისათვის.

ღმერთმა მოგანიჭოთ მშვიდობა და შემდგომი წარმატებები თქვენს მაღალ მსახურებაში.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

1tv.ge